



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*20*“ *05* 2015 წელი

ეგზ. N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის

2012 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდის

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *041100*

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	
კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
დაფინანსების წყაროები.....	4
აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ.....	4
შესყიდვები.....	4
მივლინება.....	7
შრომის ანაზღაურება	7
ტრანსპორტი და საწვავი	8
წარმომადგენლობითი ხარჯი	10
ინვენტარიზაცია	11
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	12

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდეგში საქსტატი) მიერ 2012-2013-2014 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2012-2013-2014 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საქსტატის 2012, 2013 და 2014 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორის პასუხისმგებლობაა აუდიტი დაგეგმოს და ჩაატაროს იმდაგვარად, რომ მიიღოს საკმარისი და შესაფერისი რწმუნება მოსაზრების გამოსახატავად. აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

დაფინანსების წყაროები

საქსტატის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად გამოყოფილი სახსრები, მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული დონორის მიერ გაცემული გრანტები, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლები, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა შემოსავლები.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

შესყიდვები

შესყიდვების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ტენდერების ჩატარების დროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები მნიშვნელოვნად აღემატება სახელშეკრულებო თანხებს და ქმნის მაღალფასიანი შესყიდვის რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო თანხებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები:

მიმწოდებელი	შესყიდვის საგანი	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	სხვაობა თანხით	%
შპს „კოპი რუმი“	ტონერის კატრიჯები	13500	9299	4201	31
შპს „ბილდინგ კომპანი“	შენობის რემონტი	18000	10900	7100	39
შპს „გაზეთისაქართველოსმაცნე“	კითხვარების ბეჭდვა	270000	144000	126000	47
შპს „ბრენდჰაუზი“	სარეკლამო პროდუქტი	50000	24689	25311	51
ინდ. მეწ. „ნიკოლონდარიძე“	ავეჯი	16700	7199	9501	57
შპს „ჯეოქარტა“	ბეჭდვა	37000	23999	13001	35
შპს „კოლხეთი 2012“	ხელჩანთები	198000	139880	58120	29
შპს „იდეა“	ბრენდ. ფლემშესიერებები	11500	5790	5710	50
შპს „მედიასპორტი“	რეკლამა	508000	394999	113001	22

ზემოაღნიშნული სხვაობები მიუთითებს იმაზე, რომ შემსყიდველმა სათანადოდ არ აწარმოა ბაზრის კვლევა და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები არ შეესაბამებოდა საბაზრო ფასებს.

მიზანშეწონილი იქნება საქსტატმა ტენდერების გამოცხადების დროს საბაზრო ღირებულებების დადგენასთან დაკავშირებით განახორციელოს უფრო დეტალური ბაზრის კვლევა, რაც საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვროს ობიექტების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები.

ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როდესაც შესყიდვებიდან მიღებული ზემოაღნიშნული ეკონომიების ხარჯზე, თანხების ათვისების მიზნით, საბიუჯეტო წლის ბოლოს, სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებულია ისეთი მოთხოვნა როგორიცაა ხელშეკრულების გაფორმებიდან და საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში მთლიანი სახელშეკრულებო თანხის წინასწარ, ავანსად გადარიცხვა, რის საფუძველზეც მოხდა ზოგიერთი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. ასე მაგალითად: 2012 წლის 5 ნოემბერს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერით (SPA N120025819) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 85.5 ათას ლარზე, ქალაქ ბათუმის ოფისში სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე, დისკვალიფიცირებულია შპს „აისბერგი-XXI“, რომელიც სატენდერო წინადადებაში ანაზღაურებას ითხოვდა შესაბამისად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ეტაპობრივად, წარმოდგენილი ფორმა 2-ების მიხედვით და გამარჯვების შემთხვევაში ავანსს არ მოითხოვდა. აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „ნიუბოლდინგმა“ 84.9 ათასი ლარით. შპს „აისბერგი-XXI“-ის შეთავაზება შეადგენდა 81.7 ათას ლარს, ანუ 3.2 ათასი ლარით ნაკლებს. 2013 წლის 8 ნოემბერს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერით (SPA N130024343 სარემონტო სამშენებლო სამუშაოები), შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 65.0 ათას ლარს. სატენდერო დოკუმენტაციაში, როგორც წინა შემთხვევაში ჩადებული იყო მოთხოვნა მთლიანი სახელშეკრულებო თანხის წინასწარ (ავანსად) გადარიცხვაზე.

2014 წლის 6 ოქტომბერს (SPA 140023359) გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერით (სავარაუდო ღირებულება 16.6 ათასი ლარი), შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ორი სიუჟეტის დამზადება და ჩასმა სატელევიზიო სერიალში თემაზე „მოსახლეობის საყოველთაო აღწერა“ (ერთ სერიაში სიუჟეტის ხანგრძლივობა 30-50 წამი, ხოლო მეორე სერიაში 50-60 წამი). სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, სარეკლამო პროდუქციის დანიშნულებას წარმოადგენდა ინფორმაციის გადაცემა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შესახებ, სიუჟეტები უნდა გასულიყო ქართულ საერთო ეროვნულ სატელევიზიო არხზე ისეთ ქართულ

პოპულარულ ტელესერიალში, რომელიც ქართულ სატელევიზიო ტელესივრცეში გადიოდა არანაკლებ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, კვირაში არანაკლებ ორჯერ. სერიალის გაშვების დრო უნდა ყოფილიყო: „პრაიმტაიმი“ 22:00-24:00 საათი. ამასთან, გამარჯვებულ პრეტენდენტს სიუჟეტები უნდა ჩაერთო სერიებში, რომლებიც სატელევიზიო ეთერში 2014 წლის 1 ნოემბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში გავიდოდა.

მიგვაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ დავალება) სარეკლამო პროდუქტის აღწერისას მითითებული იყო ისეთი მინიშნებები, რომელიც ფაქტობრივად მორგებული იყო კონკრეტულ გადაცემაზე (ტელესერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“), რომელიც ხსენებულ პერიოდში ტელეკომპანია რუსთავი2-ზე გადიოდა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, შპს „ფორმულა პროექტო ფროდაქშენმა“. შედეგად შემოთავაზებულმა ფასმა 16.5 ათასი ლარი შეადგინა, რითაც გამოირიცხა კონკურენცია და ფასის კლება.

2014 წლის 15 აგვისტოს საქსტატმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი*(SPA 140019543)სარეკლამო ბილბორდების ბეჭდვასა და განთავსების მომსახურების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 178.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა-შპს „აუთდორ მედია ჰაუსმა“ და გაიმარჯვა, რომლის სატენდერო წინანდადების ფასი შეადგენდა სავარაუდო ღირებულების ანალოგიურს.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების მიხედვით პრაქტიკულად მოთხოვნილი იყო ბილბორდების განთავსების ის ადგილები(მაგალითად თბილისი-აღმაშენებლის ხეივანი დიდი დიდმის გადასახვევთან; თბილისი-რობაქიძის გამზირი დიდუბის ხიდის მიმდებარედ და ა.შ), რომელიც დიდი ალბათობით მხოლოდ ზემოაღნიშნული კომპანიის მფლობელობაშია, შედეგად, როგორც წინა შემთხვევაში გამოირიცხა კონკურენცია და ფასის კლება.

საქსტატს 2013 წლის 3 ივნისს შპს „თბს-ტვ“-სთან გაფორმებული აქვს N2/438 ხელშეკრულება, ღირებულებით 5.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ორი გრაფიკული ვიდეორგოლის დამზადება, თითოეული 15 წამის ქრონომეტრაჟის. ვიდეორგოლები ეხებოდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერას და 2013 წელს გურია-აჭარა-კახეთში მოსახლეობის სიების დაზუსტებას. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებას არ ახლავს ხარჯთაღრიცხვა, რითაც დასაბუთებული იქნებოდა სახელშეკრულებო ღირებულება. შედეგად გაურკვეველია გადახდილი ფასი რამდენად შეესაბამება პროდუქტის რეალურ ღირებულებას.

მიზანშეწონილია არ განხორციელდეს წლის ბოლოს საავანსო გადახდები, რითაც თავიდან იქნება აცილებული ბიუჯეტის აუთვისებელი რესურსის შემცირება, მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ტენდერების მიმდინარეობისას ყველაზე დაბალი ფასების მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები იყოს რეალური და ცალკეული პრეტენდენტებისთვის არ წარმოადგენდეს ხელოვნურად შემზღუდავ ბარიერს, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

მივლინება

ქვეყნის შიგნით მივლინების დროს ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს როდესაც სასტუმროს მომსახურებაში შესულია კვების ხარჯები, რომელიც ცალკე გამოყოფილი არ არის. ასე მაგალითად: 2014 წლის 28 აგვისტოს N 351-ად ბრძანებით ფოთის სამმართველოს უფროსი 23 აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით მივლინებით იმყოფებოდა დაბა მესტიისში. წარმოდგენილია ინდ. მეწარმე „თამარ მარგველანის“ ინვოისი, სადაც აღნიშნულია, რომ სამი დღის მიღება-მომსახურებამ ორჯერადი კვებით შეადგინა 240 ლარი. ანალოგიურად 2014 წლის 28 მარტის N 56 ბრძანებით ხარაგაულში მივლინებულ შტატგარეშე თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს შპს „უღელტეხილის“ ინვოისი 280 ლარზე, რომელშიც შედიოდა ნომრის ღირებულება ორჯერადი კვებით. 2014 წლის 10 ოქტომბრის N 463-ად ბრძანებით ქ. სამტრედიისში მივლინებულ შტატგარეშე თანამშრომელზე ანაზღაურებულია სასტუმროს ნომრის ღირებულება 250 ლარი და კვების ღირებულება 50 ლარი, რაც წარმოადგენს ზედმეტად ანაზღაურებულ თანხას. ანალოგიურად 2014 წლის 17 ოქტომბრის N 471-ად ბრძანების საფუძველზე მასზე ანაზღაურებულია სასტუმროს ნომრის ღირებულება 950 ლარი და კვების ღირებულება 190 ლარი, რომელიც წარმოადგენს ზედმეტად ანაზღაურებულ თანხას.

შრომის ანაზღაურება

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 4 იანვრის N 9, 2013 წლის 21 ივნისის N 600 და 2014 წლის 1 აგვისტოს N 1341 განკარგულებებით საქსტატის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა 2012 წელს განისაზღვრა 1400 ერთეულით, 2013 წელს 6400 ერთეულით, ხოლო 2014 წელს საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით 13580 ერთეულით.

2012 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4,712.2 ათასი ლარი. მათ შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 3,974.6 ათასი ლარი (84.3%). 2013 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6,518.9 ათასი ლარი. მათ

შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 5,129.0 ათასი ლარი (78.7%). 2014 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 15,216.2 ათასი ლარი. მათ შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 12,488.1 ათასი ლარი (82.1%).

აუდიტის პერიოდში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს როდესაც ხელმძღვანელ პირებზე გაცემულია დიდი ოდენობით პრემიები. ასე მაგალითად: 2012 წლის დეკემბერში აღმასრულებელ დირექტორზე გაცემულია 4.3 ათასი ლარი (თანამდებობრივი სარგოს 146%), მის მოადგილეებზე 4.3 ათასი ლარი (179%), აპარატის უფროსზე და შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსზე 3.1 ათასი ლარი (200%). აღსანიშნავია, რომ 2012 წლის სექტემბრამდე და სექტემბრის შემდეგ პერიოდში პრემიების უმეტესი ნაწილი ძირითადად გაიცემოდა ხელმძღვანელ პირებზე, ხოლო სექტემბერში პრემია გაცემულია ყველა თანამშრომელზე. 2013 და 2014 წლებში ყოველთვიურად აღმასრულებელ დირექტორზე გაცემულია პრემია თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით, ხოლო მოადგილეებზე პრემიის, დანამატის, გრანტის და საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული თანხების გათვალისწინებით ასევე 100%-ის ოდენობით.

2012- 2014 წლებში საქსტატის მიერ პრემიის სახით სულ გაცემულია 1,356.8 ათასი ლარი, ხოლო დანამატის სახით-340.8 ათასი ლარი. მათ შორის:

წელი	პრემია	მ.შ ხელმძღვანელობა	%
2012	463885	256135	55
2013	429115	245080	57
2014	463765	215325	46
სულ	1356765	716540	53
წელი	დანამატი	მ.შ ხელმძღვანელობა	%
2014	340750	200650	59

ტრანსპორტი და საწვავი

საქსტატის „შრომის შინაგანაწესის“ 23-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად¹, „დასაქმებული ვალდებულია უზრუნველყოს გადაცემული ქონების დაცვა და მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენება“. ასევე, საქსტატის „თანამშრომელთა ქცევის კოდექსის“ თანახმად² დაუშვებელია სამუშაო დროისა და მასზე გადაცემული ქონების გამოყენება არასამსახურებრივი მიზნებისათვის.

¹(დამტკიცებულია საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 29.04.2014 წლის N81 ბრძანებით)

²(საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 03.04.2013 წ. N31-ს ბრძანება)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლინდა საქსტატის თანამშრომელთა სამუშაო დროისა და მათზე გადაცემული ქონების არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების ფაქტები. მაგალითად:

საწვავის ელექტრონულ საბარათე სისტემაში აღმასრულებელი დირექტორის შვებულებაში ყოფნის პერიოდში (5.08.2012 წლის N212-ად ბრძანება) ავტომანქანა KIA SPORTAJE სახელმწიფო ნომერი FCF 407, 2012 წლის 19 და 20 აგვისტოს ზუგდიდსა და მესტიაში ჩასხმულია 65 ლიტრი საწვავი; ავტომანქანა Hyundai Accen სახ. ნომერი FFT-715, რომელიც სამსახურებრივი სარგებლობისათვის გადაცემული იყო საქსტატის თელავის სამმართველოს უფროსზე, 2013 წლის 30 აგვისტოს კვარიათის ავტოგასამართ სადგურზე დაფიქსირებულია 26 ლიტრი ბენზინის ჩასხმა; 2014 წლის ივლისსა და აგვისტოში ავტომანქანა „Hyundai Accent“ სახ. ნომერი FFT-713 საწვავის ჩასხმა დაფიქსირებულია 6=ჯერ (ხაშური და ქობულეთი), რაოდენობით 165 ლიტრი, ხოლო 4 და 7 სექტემბერს, როდესაც შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი (ვისზედაც იყო მიმაგრებული ავტომანქანა მატერიალური პასუხისმგებლობის ქვეშ) შვებულებაში იმყოფებოდა, ⁴ 105 ლიტრი საწვავი ჩასხმულია ქობულეთში; ანალოგიურად, შვებულების პერიოდშია ჩასხმული საწვავი ქვემოთ მოყვანილ ორ შემთხვევაშიც. კერძოდ, ავტომანქანა „reno logan“ (სახ. ნომერი SQQ-153) ბრძანებით ⁵ განპიროვნებული იყო „საქსტატის“ ბორჯომის სამმართველოს უფროსზე⁶. ელექტრონულ საბარათე სისტემაში საწვავის ჩასხმა დაფიქსირებულია ქ. ბათუმში 2014 წლის 9 სექტემბერს⁷ (41 ლიტრი ბენზინი). ავტომანქანა „reno logan“ (სახ. ნომერი SQQ-152) ბრძანებით⁸ განპიროვნებული იყო თბილისის სამმართველოს უფროსზე, საწვავის ჩასხმა დაფიქსირებულია 2014 წლის 27 და 29 დეკემბერს⁹ ხაშურსა და სოფელ ოკამში, საერთო რაოდენობით 69 ლიტრი.

მნიშვნელოვანი რისკები გამოვლინდა სამორიგეო ავტომობილებზე ლიმიტით გამოყოფილი საწვავის ხარჯვისას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის“ მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, სამორიგეო ავტომობილი არის ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე (გარდა საპროტოკოლო/სასტუმრო ავტომობილებისა) დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება,

³(01.05.2014 წ. N 84-ს აღმასრულებელი დირექტორის ბრძანება და 01.05.2014 წ. მიღება-ჩაბარების აქტი)

⁴(01.09.2014 წ. N372-ად)

⁵(05.09.2014 წ. N138-ს)

⁶(05.09.2014 წ. N 138-ს აღმასრულებელი დირექტორის ბრძანება და 05.09.2014 წ. მიღება-ჩაბარების აქტი)

⁷(05.09.2014 წ. შვებულების ბრძანება N 387-ად).

⁸2014 წლის 11 ნოემბრის N 171-ს

⁹(შვებულების ბრძანება 10.12.2014 წლის N575-ად)

რომელიც არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე.

აუდიტით დადგინდა, რომ სამორიგეო ავტომობილების გამოყოფა ხდებოდა სიტყვიერად და არა წერილობითი ფორმით. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით გახარჯული საწვავის მიზნობრიობაში.

მიზანშეწონილია სამორიგეო მანქანების გამოყოფა მოხდეს წერილობითი ან ელექტრონული განაცხადის საფუძველზე.

საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის 2014 წლის 8 მაისის N5 სხდომის ჩანაწერის თანახმად, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ერთ-ერთი ინფორმაცია ეხებოდა აღწერის საორგანიზაციო საკითხს. კერძოდ, საქსტატის ტერიტორიული ერთეულებისათვის 2014 წლის აგვისტო-დეკემბრის პერიოდში 7 ერთეული სატრანსპორტო საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქსტატს და კომისიის წევრ უწყებებს დაევაღათ ამ საკითხის ერთობლივად განხილვა, თუმცა სატრანსპორტო საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემა არ მომხდარა. სატრანსპორტო საშუალებები საქსტატის მიერ შეძენილ იქნა (ფინანსთა სამინისტროს თანხმობით)¹⁰ ს.ს „ფრანს ავტო“-საგან ელექტრონული ტენდერის საშუალებით 2014 წლის 22 აგვისტოს¹¹. აღნიშნული ტენდერით შეძენილი 7 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის (RENAULT LOGAN) საერთო ღირებულებამ სულ შეადგინა 139.1 ათასი ლარი (ერთეულის ღირებულება 19.9 ათასი ლარი). აქვე აღვნიშნავთ, რომ საქსტატში არ უმსჯელიათ ტრანსპორტის დაქირავებაზე და შესაბამისად, დაუსაბუთებელია ავტომანქანების 5 თვის (ავგვისტო-დეკემბერი) საჭიროებისთვის რა უფრო რაციონალური იქნებოდა, მათი დაქირავება თუ შესყიდვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ავტომანქანების შესყიდვა სავარაუდოდ არ წარმოადგენდა აუცილებლობას, ხოლო მათი დაქირავებით შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2014 წლის 25 ნოემბერს საქსტატსა და შპს „ლოპოტა ტურ სერვის“ შორის გაფორმებულია N127 ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა 2014 წლის 6-7 დეკემბერს თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში მდებარე სასტუმრო „ლოპოტაში“

¹⁰(საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 25.06.2014 წ. N 9/2-03/1621 წერილი და ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N627; 30.06.2014 წ.)

¹¹(22.08.2014 წლის მიღება-ჩაბარების აქტი)

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ფარგლებში შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზების მომსახურება 44 კაცზე, კერძოდ, აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქსტატის ხელმძღვანელობა, აღწერის საორგანიზაციო საკითხებით დაკავებული ცენტრალური აპარატის ზოგიერთი თანამშრომელი, ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები და მასმედიის წარმომადგენლები. ხელშეკრულების ღირებულებამ სულ შეადგინა 16.7 ათასი ლარი (ერთ კაცზე საშუალოდ 0.4 ათასი ლარი), რომელიც მოიცავდა ტრანსპორტირების ღირებულებას (თბილისი-ლოპოტა; ლოპოტა თბილისი)-1.1 ათასი ლარი; ოფიციალური ვახშამს-4.0 ათასი ლარი, ჩაი-ყავა-0.4 ათასი ლარი; სასტუმროს ნომრების ღირებულება-11.2 ათასი ლარი (საკონფერენციო ოთახის, ლანჩის და საუზმის ღირებულება შედიოდა სასტუმროს ღირებულებაში).

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, ღონისძიების თბილისში ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელი იყო, როგორც ტრანსპორტირების, ასევე სასტუმროს ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის დაზოგვა.

ინვენტარიზაცია

ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის მოხსენებითი ბარათის ¹² თანახმად საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროცესში (5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით) ქონების ხშირი გადაადგილების, აგრეთვე ბუღალტერიის განსაკუთრებული დატვირთვის გამო მიზანშეწონილად ჩაითვალა ინვენტარიზაციის განხორციელება სააღწერო პროცესების დასრულების შემდეგ. საქსტატის 2015 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით შექმნილ საინვენტარიზაციო კომისიას დაევალა 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საქსტატის ბალანსზე რიცხული აქტივებისა და ვალდებულებების, ადმინისტრაციულ შენობებსა და ტერიტორიულ ორგანოებში არსებული ძირითადი საშუალებების და ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული მატერიალური ფასეულობების, ამორტიზირებული და გამოუყენებელი აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქსტატში 2014 წლის ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, რითაც დაირღვა „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით გათვალისწინებული ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდირებული ვადები.

¹² 2014 წლის 20 ნოემბრის N 1-3757

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2012-2014 წლებში გაწეული საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებს.

უფროსი აუდიტორი

თენგიზ გურასაშვილი



აუდიტორი

ბესიკ ფერაძე

